არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს წესდება

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მისი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის შენარჩუნებისა და დაავადებათა პრევენციის მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

1.2. სამსახურის დამფუძნებელია ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (ს/კ 222938490), იურიდიული მისამართი: ქ.ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. N11.

1.3. სამსახური შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2

სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

2.1. სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. სამსახურის სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,, ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ (შემდგომში - ჯანდაცვის ცენტრი).

2.3. სამსახურის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. N11 (საიდენტიფიკაციო კოდი: 222936740).

2.4. სამსახურს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა.

2.5. სამსახურის ელექტრონული მისამართია: ელ.ფოსტა ambrolaurissazjandacva@gmail.com ტელეფონი: 599 15 20 55

მუხლი 3

სამსახურის საქმიანობის მიზნები და ფორმები

3. ჯანდაცვის ცენტრის მიზნებია:

3.1. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის შენარჩუნებისა და აღდგენის მიზნით დავალებათა პრევენციის მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

3.2. მოსახლეობის გადამდები და არაგადამდები დაავადებით ავადობის მდგომარეობის უწყვეტი მონიტორინგი. ამ მიმართულებით თავის უფლებამოსილების ფარგლებში ინფორმაციის მოპოვების შეკრება რეგისტრაციის ეპიდემიოლოგიური ანალიზის ეპიდსიტუაციის შეფასების, ეპიდპროგნოზის და ეპიდკონტროლით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ხელის შეწყობა და კოორდინაცია.

3.3. ეპიდემიური სიტუაციის გართულების შემთხვევაში ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოების და ჯანდაცვის ზემდგომი სამსახურის დროული ინფორმირება და მოსახლეობისათვის ეპიდკეთილსაიმედო მდგომარეობის უზრუნველყოფა.

3.4. გადამდებ ინფექციური დაავადებების უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოებრივი მომსახურების (წყალმომარაგების, კანალიზაციის, დასუფთავების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების (მათ შორის სამედიცინო) შეგროვების და უტილიზაციის) საკითხების, დაავადებათა რეზერუარების და გადამტანების კონტროლის შესახებ საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის რეკომენდაციების მომზადება და მიწოდება.

3.5. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამის ღონისძიების განხორციელება.

3.6 ცოფის გავრცელების სიტუაციური მართვის პროცესებზე სიტუაციური მონიტორინგის წარმოება და სათანადო სამსახურების დროული ინფორმირება.

3.7. წყალმომარაგების სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და უსაფრთხოების ექსპლოატაციის მონიტორინგი.

3.8. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურეობის მიმწოდებლისათვის. პროფილაქტიკური აცრების დაგეგმვა, შესრულების ორგანიზაცია და მონიტორინგი.

3.9. ტერიტორიაზე არსებული რესურსების მობილიზაცია საგანგებო სიტუაში დაავადებათა და არამართვად ინფექციათა პროფილაქტიკური ღონისძიებები განხორციელების გატარების გათვალისწინებით.

3.10. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა.

3.11. მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარეშე.

3.12. სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.

3.13. სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა. პროფილაქტიკური მკურნალობა და რეკომენდაციების მიწოდება. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება.

3.14. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;

3.15. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

3.16. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
3.17. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

3.18. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ პირთა მიერ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 3^1 და 3^2 პუნქტიებით გათვალისწინებული ვალდებულეებების შესრულების კონტროლი;

3.19. პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;

3.20. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა.

3.21. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43^1 და 43^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე ოქმის შედგენა.

ჯანდაცვის ცენტრის საქმიანობის ფორმებია:

3.22. თავისი კომპეტეციის ფარგლებში გააკონტროლოს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ინფექციურ დაავადებათა შემოტანისა და გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.

3.23. მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს სამედიცინო დაწესებულებების პერსონალს საავადმყოფოს შიდა ინფექციების, დაავადებათა პროფილაქტიკის ეპიდაფეთქებებთან ბრძოლის ფსიქოსოციაური დახმარების და პირველადი ჯანდაცვის პერსონალური ტრენინგების საექთნო საქმის ორგანიზება-გატარებას საზოგადოებრივ ჯანდაცვის დონეზე.

3.24. ორგანიზება გაუწიოს რაიონულ კონფერენციებს სემინარებს ეპიდსიტუაციის პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამტკიცების და სხვა პირველადი განდაცვის საკითხებზე.

3.25. ჯანდაცვის ცენტრში არსებული რესურსების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერიოდული განახლება და მაქსიმალურად გამოყენება.

3.26. სისტემატიური მუშაობა ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებთან მათი უფლებამოვალეობების დაცვისა და განხორციელებისათვის, შრომითი ხელშეკრულების გაფორმება თითოეულ თანამშრომელთან და ზრუნვა მათი ოპტიმიზაციისათვის.

მუხლი 4

სამსახურის მართვა

4.1. სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანმადებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი.

4.2. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს მისი

ბრძანებით ერთ-ერთი თანამშრომელი.

4.3. სამსახურის დირექტორი:

ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სამსახურის ბიუჯეტს, საშტატო განრიგს და სტრუქტურას;

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამსახურის თანამშრომლებს;

გ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით გამოსცემს ბრძანებას დირექტორის შვებულებისა და მივლინების შესახებ;

დ) მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

ე) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ვ) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული სამუშაოს

შესახებ.;

ზ) წარმართავს ჯანდაცვის ცენტრის ფინანსურ საქმიანობას;

თ) ჯანდაცვის ცენტრის სახელით აწარმოებს გარიგებებს, ხელს აწერს ხელშეკრულებებს, ჯანდაცვის ცენტრის საფინანსო და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს; წარმოადგენს ჯანდაცვის ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ი) ახორციელებს ჯანდაცვის ცენტრის ფინანსური რესურსებისა და ქონების მართვას. პასუხს აგებს მათ სწორად გამოყენებაზე;

კ) მრჩეველთა საბჭოს წარუდგენს ყოველი თვის საქმიანობის ანგარიშს, აგრეთვე წარადგენს წინადადებებს სამომავლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით;

ლ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს წელიწადში ორჯერ წარუდგენს ანგარიშს ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (მიმდინარე წლის 10 ივლისამდე და მომდევნო წლის 10 იანვრამდე), აგრეთვე ყოველი საანგარიშო კვარტლის დასრულებიდან მომდევნო თვის 10 რიცხვამდე წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციას.

მ) ყოველი წლის ბოლოს ადგენს ანგარიშს ჯანდაცვის ცენტრის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;

ნ) ამტკიცებს სახელმძღვანელო ინსტრუქციებს ჯანდაცვის ცენტრის და მისი დაწესებულებების საქმიანობის ეფექტური განხორციელების მიზნით;

ო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, განსაზღვრევს ჯანდაცვის ცენტრის შრომით შინაგანაწესს და ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

პ) უზრუნველყოფს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი სამსახურის ელექტრონული პორტალის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მართვას.

4.3. საწესდებო მიზნების ეფექტური განხორციელების მიზნით ჯანდაცვის ცენტრში იქმნება მრჩეველთა საბჭო, დირექტორის მიერ თანამშრომლებისაგან წარმოდგენილი 3 წევრის შემადგენლობით, დირექტორის უფლებამოსილების ვადით.

4.4 მრჩეველთა საბჭო:

ა) განიხილავს ჯანდაცვის ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;

ბ) განიხილავს ჯანდაცვის ცენტრის მუშაობის წლიურ გეგმას და ანგარიშს;

გ) განიხილავს და გადაწყვეტილებებს იღებს ჯანდაცვის ცენტრის სხვადასხვა პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

დ) ისმენს დირექტორის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

4.5. დირექტორი ვალდებულია გაითვალისწინოს მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებები მისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

4.6. მრჩეველთა საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ. შესაძლებელია მრჩეველთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნეს დირექტორის მოთხოვნით, საბჭოს წევრის წინადადების საფუძველზე.

4.8 მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დასწრება და კენჭისყრაში მონაწილეობა სავალდებულოა.

4.9. მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

4.10. მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ყველა დამსწრე წევრი.

4.11. სამსახურის კონტროლს ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი აუდიტორის მეშვეობით.

მუხლი 5

ჯანდაცვის ცენტრის ქონება და ფინანსები

5.1. ჯანდაცვის ცენტრის ქონებრივი და ფინანსური წყაროებია:

ა) დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუფსიდიები.

ბ) გრანტები;

გ) შემოწირულობები;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სხვა ქონებრივი და ფულადი სახსრები;

5.2. მიღებული სახსრები ჯანდაცვის ცენტრმა უნდა გამოიყენოს საწესდებო მიზნების მისაღწევად;

5.3. ჯანდაცვის ცენტრს შეუძლია მიღებული შემოსავლების საფუძველზე შექმნას სარეზერვო და სხვა დანიშნულების ფონდები;

მუხლი 6

ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

6.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38 მუხლის შესაბამისად.

6.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

6.4. დამფუძნებელის გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

6.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

6.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა დაწარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

6.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელმა არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

6.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 7

დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების ამოქმედებიდან.

7.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი: Zviadi Mkheidze Digitally signed by Zviadi Mkheidze Date: 2023.11.29 12:06:59 +04'00' ზვიადი მხეიძე